ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი # 1

ქ. ონი 09. 06. 2021 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, ნინო გობეჯიშვილი, სერგო ლობჯანიძე, გიორგი მეშვილდიშვილი, გივი მეტრეველი, როსტომ ლობჯანიძე, მერაბ ბიჭაშვილი, მამუკა ყავლაშვილი, რევაზ საბანაძე, ნონა მაისურაძე, ნინო ბერუჩაშვილი, ეკა მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ანა ბაქრაძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამილა არჩვაძე.

არ ესწრებოდა 10 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ფრიდონ გოგრიჭიანი, თორნიკე მეტრეველი, მადლენა მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, ბესიკი მაისურაძე, ბიჭიკო კერვალიშვილი, ბიძინა ყიფიანი, ნოდარ ბურდილაძე, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ნოდარიშვილი, მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ ბროლაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. გ. ნოდარიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. გ. ნოდარიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ს. ლობჯანიძემ ისაუბრა ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხისა და შესრულების ვადებისა და ზედამხედველობის კუთხით არსებულ პრობლემებზე.

ვ. მეტრეველმა განაცხადა, რომ საკრებულოს ფრაქცია შემოდის თხოვნით გადაიხედოს სოფ. კვაშხიეთში მიმდინარე სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის პროექტი და გარკვეულწილად პროექტის ნაწილი მოერგოს მურმან ლებანიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების პროექტს, კერძოდ, ღელე, რომლის რეაბილიტაციაც ხდება, ესაზღვრება მ. ლებანიძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელ გზას, რომლის ნაწილიც წაღებულია და არის საშიშროება მთლიანად სავალი ნაწილის წაღების. ასევე, ამ ღელეზე არ არის გადასასვლელი (იყო 300 მმ-იანი ძელი ჩადებული, დღეს ამოღებულია). სავარაუდოდ, საჭიროა, 30 გრძ. მეტრზე მცირე გაბიონის მოწყობა და სასურველია მცირე გადასასვლელი მარტივი ბოგირის მოწყობა. გარდა ამისა, თხოვნის სახით გვინდა გაითვალისწინოთ აწ გარდაცვლილი დამსახურებული პედაგოგის შუქურა ჯაფარიძის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემაში თანამონაწილეობა ოჯახთან შეთანხმებით.

ზ. ბენდიანიშვილმა აღნიშნა, რომ 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო რამდენიმე სოფლის სასმელი წყლის რეაბილიტაციის თანხა, წარმოდგენილ პროექტში აღნიშნული თანხა ამოღებულია. თუ არ იყო საჭირო, რატომ დაიგეგმა და თუ საჭირო იყო, რატომ მოხდა ამ თანხის ამოღება? ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა ხდებოდეს სწორი გათვლა და ანალიზი, რომ თავიდან ავიცილოთ მსგავსი პრობლემები. ზ. ბენდიანიშვილმა ასევე, ისაუბრა მერიის მიერ სხდომაზე განსახილველი საკითხების კანონით განსაზღვრულ ვადებში გადმოგზავნისა და ფრაქციებისათვის სამუშაო ოთახების აუცილებლობაზე.

ე. მაისურაძემ ისაუბრა ქალაქის კეთილმოწყობის პროექტის ფარგლებში უკვე რეაბილიტირებულ ქუჩებზე დაზიანებული ფილებისა და ქვაფენილების ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობაზე და მომღერალ ზურაბ ბაკურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარებაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-16, წინააღმდეგი-6

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

ა. ბაქრაძემ ისაუბრა მაწანწალა ძაღლების პრობლემაზე. თ. ცეცაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება ქალაქის შემოსასვლელში შლაგბაუმის განთავსება, რათა აღირიცხოს და გაკონტროლდეს, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, ტურისტების მიერ ძაღლების შემოყვანისა და შესაბამისად გაყვანის პროცესი, რადგან ხშირად პატრონს აღარ მიჰყავს თავისი ძაღლი, ტოვებს და იზრდება მაწანწალა ძაღლების რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე